

ქ. თბილისი

**სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესის და
საკონკურსო-სატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36¹ მუხლის პირველი პუნქტის და
„საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო-სატესტაციო კომისიის თანდართული დებულება.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლევან დავითაშვილი
თავმჯდომარე

**სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესისა და
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება**

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. გამოყენების სფერო

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება (შემდგომში – დებულება) შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებისა შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესს.

**თავი II
საკონკურსო-საატესტაციო კომისია**

მუხლი 2. კომისიის მიზანი

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში – კომისია) მიზანია:

- ა) სააგენტოში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა;
- ბ) კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და სხვა წევრები.
2. კომისიის თავმჯდომარეს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის (შემდგომში – სააგენტოს თავმჯდომარის) წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.
3. კომისიის წევრთა შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
4. თავმჯდომარის მოადგილეს და წევრებს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.
5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
6. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ არასამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ანდა შესაბამისი დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები.

7. კომისიის მოწვეულ წევრთა საქმიანობა ანაზღაურებადია. მოწვეულ წევრების ანაზღაურების პირობები, ოდენობა და წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 5. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სააგენტოს უფროსის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, მოწვეული წევრები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შემოტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში.

9. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

თავი III კონკურსი

მუხლი 6. კონკურსის გამოცხადება

1. საჯარო კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება სააგენტოს მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.
2. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა მოიცავდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა ტარდება კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს 10 დღისა.
4. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ქმნის სამდივნოს (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.
5. სამდივნოს უფროსს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.
6. სამდივნოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
7. სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებისათვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, კანდიდატების მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით გაკეთებული განცხადებების ამოღებას, მათ შესაბამისობის შემოწმებას და კომისიისათვის წარდგენას.
8. კონკურსის დამთავრებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 7. მოთხოვნები, რომელიც წაეყენება კანდიდატს

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის ბრძანებით. თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

მუხლი 8. კონკურსისთვის წარმოსადგენი საბუთები

1. კონკურში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით;

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა.

2. კანდიდატებს განცხადების წარსადგენად ეძლევათ არანაკლებ 10 დღიანი ვადა ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

3. ერთი კონკურსანტის მიერ განცხადების წარდგენა ერთდროულად, სააგენტოში ნებადართულია მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის დარღვევისას, კანდიდატის განცხადება არ განიხილება.

მუხლი 9. კონკურსის პირობები

1. კონკურსის პროგრამას, ფორმებს, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია სააგენტოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. საკონკურსო თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს კონკურსის ჩატარებამდე 10 დღით ადრე მაინც.

მუხლი 10. ტესტირება

1. ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტირება შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ - ჩვევების, ინტელექტის, პიროვნული მახასიათებლებისა და ასევე პროფესიულ ტესტს. პროფესიული ტესტირების თემატიკას კანდიდატის მიერ დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით ამტკიცებს კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირი.

2. დადებითი შეფასების მისაღებად კანდიდატმა უნდა დააგროვოს კომისიის წინადადებით კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა რაოდენობა (მინიმალური ზღვარი).

3. ტესტები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, გარდა უფლებამოსილი პირებისა.

მუხლი 11. გასაუბრება

1. კომისიამ კანდიდატთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს, მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე.

3. თითოეული კანდიდატისთვის გამოიყენება იდენტური შინაარსის წინასწარ განსაზღვრული კითხვარი.

მუხლი 12. კომისიის მიერ კანდიდატურების განხილვა

კომისია კანდიდატების ტესტირების ან/და გასაუბრების შემდეგ მათ დაუსწრებლად სხდომაზე განიხილავს დასაკავებელ თანამდებობასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს. აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. კენჭისყრის წესი და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისიის წევრების მიერ თითოეული კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების ფორმის მიხედვით, ქულებით შეფასება ხდება სპეციალურ ბლანკებში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის წევრი.

2. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია თავის სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას.

3. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

4. გადაწყვეტილება მიიღება ამ დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 14. კონკურსის შედეგი

1. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კომისია წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

2. კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი წევრი, გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა სამდივნოს მეშვეობით წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს კი – კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

3. სააგენტოს უფროსი ან კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე სხვა პირი, კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 15. ჩაშლილი კონკურსი

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი (მინიმუმ ერთი) განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.